პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

28 თებერვალი, შაბათი, 1987 წ.
№ 41 (9452) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიდერი

მას, ვისზეც დღეს გვინდა გიამბოთ, კარგად იცნობენ სპორტის მოყვარულები. კობა კურტანიძე საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების ლიდერი, საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატია. მესამე წელია ნიჭიერი გორელი ფალავნის გვარს ხშირად იხსენიებენ სპორტული ჟურნალისტები, მესამე წელია კობა კურტანიძე სტაბილურად გამოდის დიდ სპორტულ სარბიელზე და ახალ-ახალი გამარჯვებებით ახარებს გულშემატკივრებს. მაგრამ მხოლოდ მაღალი სპორტული შედეგების გამო არ აურჩევიათ იგი საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობის დელეგატად. თუ ჰკითხავთ რესპუბლიკის ნაკრების მწვრთნელებს, მის თანაგუნდელებს, დაახლოებით ასეთ პასუხს მიიღებთ: კობა სპორტსმენის ეტალონია, მისაბაძია მისი დამოკიდებულება სპორტისადმი, რეჟიმისადმი, იგი კოლექტივის სული და გული, ნამდვილი ლიდერია. ნებისმიერი შეჯიბრებისათვის გულმოდგინედ, დიდი პასუხისმგებლობით ემზადება, ტატამზეც უჩვეულო შემართებით იბრძვის. ახლა საბჭოთა კავშირის ძიუდოისტთა ნაკრების მთავარ მწვრთნელს გენადი კალეტინსაც მოვუსმინოთ: „კობა კურტანიძე ამ ორი წლის წინ მოვიწვიეთ ნაკრებში. უკვე საკმაოდ კარგი სპორტული შედეგები ჰქონდა, მაგრამ ჩვენთვის ეს არ იყო მთავარი. ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ სპორტსმენის ხასიათს, მის შრომისმოყვარეობას, ბრძოლისუნარიანობას. კობა ამ მხრივაც გამორჩეული მოჰიდავეა. მართალია, შარშან ევროპის ჩემპიონატზე მხოლოდ მეხუთე ადგილი დაიკავა, მაგრამ ნაკრებში მისი პოზიციები არ შერყეულა. ჩვენში ჯერ არ გამოჩენილა ძიუდოისტი, რომელიც მას სერიოზულ მეტოქეობას გაუწევს ქვემძიმე წონაში. კურტანიძემ ზედიზედ მესამედ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული. მჯერა, რომ იგი მომავალშიც ასეთივე წარმატებით გამოვა საერთაშორისო სარბიელზე, რადგან საამისოდ ყველა მონაცემი აქვს“.

საკავშირო ჩემპიონატის მესამე ოქროს მედალი კურტანიძემ ახლახან ლენინგრადში გამართულ შეჯიბრებაზე მიიღო. ეს ჩემპიონატის პირველ დღეს მოხდა, როცა ტატამზე ქვემძიმე და მძიმე წონას მოჰიდავეები გამოვიდნენ საბრძოლველად, იმ დღეს კობასთან ერთად გამარჯვება იზეიმა ქუთაისელმა აკაკი კობორძალიძემ. აქვე უნდა ითქვას, რომ კობორძალიძეც საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობის დელეგატია.

— ეს ჩვენთვის დიდი პატივია, — ამბობს კობა კურტანიძე. — კარგად ვიცით, რომ ამ ღირსებას გამარჯვება უნდა. საქართველოს ნაკრების წევრები ლენინგრადში რვავე წონაში დაეუფლნენ საპრიზო ადგილს და ეს ცოტას როდი ნიშნავს. ლენინგრადში მოპოვებული წარმატება განსაკუთრებით მათთვისაა მნიშვნელოვანი, ვინც საკავშირო ნაკრების წევრია და უფრო მაღალი რანგის შეჯიბრებებზე ფიქრობს. ახლა ქვეყნის ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება, მსოფლიო ჩემპიონატიც წელსვე გაიმართება.

ამ შეჯიბრებებში ჩვენი ქვეყნის სპორტული ღირსების დაცვა უთუოდ კურტანიძესა და კობორძალიძესაც მოუწევთ.



საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფუძალბურთში

ალმავლობის გზაზე

„დინამო“ (თბილისი) — „უნივერსიტეტი“ (მოსკოვი) — 5:6 (2:1, 2:3, 1:1, 0:1)

„დინამო“: გოთრგაძე, ზუმბაულიძე, გვახარია, კუტივაძე, ნოღოშვილი, კოლუაშვილი, კანდელაკი, ბადათურია, გოთრგაძე, ბეთაძე, მაჭავარიანი, რამიშვილი.

„უნივერსიტეტი“: შარაფიევი, მერენკოვი, ჩეკუნოვი, ვორონკოვი, მოროზოვი, როხლიაკოვი, ნაუმოვი; ნ. შვენიერაძე, იანკოვი, შიპაცენი, ზუევი, კურბატოვი.

შეხვედრის დამთავრებამდე წუთიღა დარჩა. ეს-ესაა უნივერსიტეტელმა ნუგზარ შვენიერაძემ თბილისელთა კარში ბურთი გაიტანა და თავისი გუნდი დააწინაურა — 6:5.

თბილისელებმა ცენტრიდან დაიწყეს თამაში და უმალ იერიში განახორციელეს. ჩვენი ქვეყნის ოთხგზის ჩემპიონის, „შვიდგზის ვერცხლისა და ექვსგზის ბრინჯაოს პრიზიორის — „უნივერსიტეტის“ კარი გოლს სასწაულით გადაურჩა და

იხ. 33-ე გვ.

ინგა გილაური „დინამოს“ ჩემპიონია

ხვერდლოვსკში, „დინამოს“ საცეკვაოზე დამთავრდა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საკავშირო ჩემპიონატი.

შეხანიშნავად იასპარეზა ქართველმა სპორტსმენმა, თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა ინგა გილაურამ. ეკრეთ წოდებულ დიდ პრავალნებში მან 190,765 ქულა მოაგროვა და „დინამოს“ ჩემპიონის წოდება მოიპოვა. ვიცეკლასიკურ პრავალნებში გაიმარჯვა მოსკოველმა ვ. კურკინმა.

სსრ კავშირის პროფკავშირთა XVIII ყრილობა

25 თებერვალს სსრ კავშირის პროფკავშირთა XVIII ყრილობა მუშაობას განაგრძობდა.

ტაშით შეხვდნენ შეკრებილნი ამხანაგებს მ. ხ. გორბაჩოვს, ჰ. ა. ალიევს, ა. ა. გრომიკოს, ვ. ი. ვოროტნიკოვს, ლ. ნ. ზაიკოვს, ი. კ. ლიგაჩოვს, ნ. ი. რიჟკოვს, მ. ხ. სოლომენცევს, ე. ა. შევარდნაძეს, ვ. ვ. შჩერბიცკის, ვ. მ. ჩებრიკოვს, პ. ნ. დემიჩევს, ვ. ი. დოლგიხს, ბ. ნ. ელცინს, ა. ნ. იაკოვლევს, ნ. ნ. ხლიუნკოვს, ხ. ლ. სოკოლოვს, ი. ფ. ხოლოვიოვს, ნ. ვ. ტალიზინს, ა. პ. ბირიუკოვას, ა. თ. დობრინინს, ა. ი. ლუკიანოვს, ვ. ა. მედვედევს, ვ. პ. ნიკონოვს, გ. პ. რაზუმოვსკის, ი. ვ. კაპიტონოვს.

დილის სხდომაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ხ. გორბაჩოვი.

სიტყვა დიდი უურადღებით მოისმინეს, დარბაზში არაერთგზის გაისმოდა ხანგრძლივი ტაში.

დარბაზ სულისკვეთებით, ახალი ამოცანების გადაწყვეტის კონკრეტული ეფექტიანი გზების ძიებითაა აღსავსე სსრ კავშირის პროფკავშირთა XVIII ყრილობის მუშაობა. მისი დელეგატები კვლავ შეიკრიბნენ 26 თებერვალს კრემლის ყრილობათა სასახლეში.

დელეგატები და სტუმრები ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს პ. ნ. დემიჩევს, ა. პ. ბირიუკოვას, ა. ი. ლუკიანოვს, ვ. პ. ნიკონოვს, გ. პ. რაზუმოვსკის.

ყრილობის უველაზე მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციის საუკეთესო წარმომადგენლები, რომლებიც განაგრძობენ მოხსენებების განხილვას, გამოხატავენ ხალხის ნებას მტკიცედ იარონ პარტიის მიერ დასახული კურსით.

დელეგატებმა ერთხმად მიიღეს „სსრ კავშირის პროფკავშირთა XVIII ყრილობის მიმართვა მსოფლიოს შრომელებისა და პროფკავშირებისადმი“.

ყრილობის ტრიბუნიდან საზღვარგარეთელმა სტუმრებმა წამოაყენეს წინადადება 1990 წლის 1 მაისს მოიწვეონ შრომელთა უველა მოძრაობის მსოფლიო ფორუმი.

სხდომაზე შეიქმნა საკავშირო პროფსაბჭოს მოხსენების გამო ყრილობის რეზოლუციის პროექტის მოსამზადებელი კომისია.

გუშინ ყრილობა მუშაობას განაგრძობდა.

რომორ ვემზადებით

საქართველოს სპორტსახკომში გაიმართა სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებისათვის რესპუბლიკური ნაკრები გუნდების მზადების ხელმძღვანელობის შტაბის სხდომა. მოისმინეს ინფორმაციები ფინალური შეჯიბრებების მასპინძლობისათვის ფოთის, სოხუმის, ქუთაისისა და ბათუმის მზადებისა და „შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭოს საშეფო მუშაობის შესახებ.

სხდომაზე აღინიშნა, რომ ფოთში, რომელიც მოზარდ ნიჭიერებს უმასპინძლებს, უკვე მთელი დატვირთვით მომდინარეობს სამზადისი ამ სპასუხისმგებლო სტარტებისათვის. სოხუმის „დინამოს“ ოლიმპიური ბაზა მზადაა ტყვიის მსროლელთა მისაღებად. ამ ქალაქში ფრენბურთელთა ტურნირიც უნდა ჩატარდეს, მაგრამ მზადებასთან დაკავშირებით დღემდე უველაფერი გარკვეული არ არის.

მოკრივეთა ტურნირისათვის არავითარი პრობლემები არ იქნება ქუთაისში. ბათუმში კი სადაც ტანმოვარჯიშეებმა უნდა იასპარეზონ, ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა გადასაჭრელი.

სხდომამ მოიწონა და დაამტკიცა „შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭოს საშეფო მუშაობის პროგრამა. ეს სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების“ საკავშირო ნაკრებს უმასპინძლებს.

სინათლე „გურიის“ სტადიონზე

...გუშინ კიდევ ერთი ობიექტი ჩაბარდა მწყობრში ლანჩხუთის სტადიონზე: 500-მდე პროექტორი ერთად აინთო და მის კაშკაშა ნიანთლებზე კიდევ უფრო ნათლად გამოიკვეთა ამ გრანდიოზული სამუშაოების მასშტაბები, რაც „გურიის“ სტადიონზე ბოლო 2 თვის მანძილზე შესრულდა. ვინც ამ სტადიონზე 20-25 დღის წინ უოფილა, ვერც კი წარმოიდგენს იმ ცვლილებას, რაც აქაურობამ განიცადა. პროექტორების ხიდებში მოელვარე ახალი სტადიონი იმის უტყუარი დასტურია, რომ მშენებლებმა ხატვა ხაქმედ აქციეს, დროის ხულ მცირე მონაკვეთში შეუძლებელი შეძლეს და ახლა თამამად შეიძლება ითქვას, რომ სტადიონიც, სასტუმროც და გრიგოლეთის ბაზის მშენებლობაც მალე დამთავრდება. მართალია, აქ ჯერ კიდევ დარჩა მცირეოდენი სამუშაოები, მაგრამ ორ-სამ დღეში ამ „კოსმეტიკურ პროცედურებსაც“ მორჩებიან მშენებლები. თუმცა, უმჯობესია პასუხისმგებელ მუშაკებს მოვუსმინოთ.

იხ. 33-ე გვ.

კვლავ მოძოვა თბილისში. გახარებულმა ბავშვებმა ტრადიციულად დილადანვე პარკებსა და ბაღებს მოაშურეს.

ი. ბ. სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის დათოვლილ ხეივნებში დილადანვე პატარების ჟრიამული ისმოდა. პარკის სპორტის განყოფილების გამგეს მიხეილ ხოხიაშვილს გამჭვირავებელ პუნქტში შევხვდით.

— 50-მდე სარბენი თბილისური და 35 ცოგა გვაქვს — გვითხრა მან. — გადავწყვიტეთ თბილისურებისა და ცოგების ნაწილი გაჭირავების პუნქტიდან უფრო მოხერხებულ ადგილას — ბიბლითოვის ქუჩის ღია პავილიონში გადავიტანოთ. აქ უფრო ადვილად მოვაკვანებენ ზამთრის სპორტის მოყვარულები. ჩვენი ფოტოკორესპონდენტის ალექსანდრე კობერიძის მიერ გუშინ დილით გადაღებულ ამ სურათზე მოაწყვიტდის დათოვლილი პლატის პირველ სტუმრებს ხედავთ.

გრიგოლეთის ხიფეხბურთო ბაზაზე მომუშავენი უამინდობის დროსაც გულდაგულ აგებენ ბალახის ბქლტებს.

ყველაფერი ადამიანთა ჯანმრთელობისათვის

ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა პროფკავშირების ერთიანი ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება

სსრ კავშირის პროფკავშირების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა ხულ ახლახან დადგენილება მიიღო პროფკავშირების საკავშირო ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების შექმნის შესახებ. ეს მეტად დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებაა, ამის თაობაზე პრესაში განმარტებით გამოვიდა პროფკავშირების სპორტულ საზოგადოებათა საკავშირო საბჭოს თავმჯდომარე ბორის როგატინი.

ბ. როგატინმა განაცხადა, რომ პროფკავშირულ სპორტულ ორგანიზაციებს თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ საბჭოთა ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის სისტემაში. სწორედ პროფკავშირებს ეკუთვნით უდიდეს სპორტნაგებობათა 56 პროცენტი, ფიზკულტურასა და სპორტზე იხარჯება პროფკავშირული ბიუჯეტის ყოველი მეოთხე მანეთი, რაც ყოველწლიურად 1 მილიარდ მანეთს აღემატება.

მაგრამ თუ ურთმანეთს შევადარებთ პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა შესაძლებლობებსა და მათს ეფექტურობას, საქმე, უდავოდ, გარდაქმნას საჭიროებს. აქცენტი, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაკეთდეს საბჭოთა ადამიანების, რიგითი ფიზკულტურელების ჯანმრთელობის გაუმჯობესებაზე. პროფკავშირულ სპორტსაზოგადოებათა ცენტრალურ, რესპუბლიკურ, სამხარეო, საოლქო, საქალაქო საბჭოებში ამჟამად 7 ათასი შტატიანი სპეციალისტი მუშაობს, ეს ხალხი ხშირ შემთხვევაში დაკავებულია უსარგებლო მიწერ-მოწერით, ზედმეტი კანცელარული საქმიანობით, ხშირად ეწყობა არაფრის მომცემი თათბირები და სემინარები, ეწყობა გაუთავებელი მივლინებები, რაც საზიანოდ ემჩნევა საერთო საქმეს. იმართება უმნიშვნელო ხასიათის შეჯიბრებები, ხშირია უწყებრივი კონფლიქტები, სპორტსმენთა გადაბირება, სპორტსაზოგადოებათა სპორტულ ნაგებობებს არადანიშნულებისამებრ იყენებენ და ა. შ.

ერთი სიტყვით, პროფკავშირების სპორტული საქმიანობის ძირეული გარდაქმნის დრო დადგა, ამის შესახებ კარგა ხანია დაუფარავად ლაპარაკობენ სპეციალისტები.

პროფკავშირების სისტემაში გაერთიანებული იყო 8 ნებაყოფლობითი ორგანიზაცია („სპარტაკი“, „ტრუდი“, „ლოკომოტივი“, „უროჟაი“ და სხვ), მათს ნაცვლად შეიქმნება პროფკავშირების ერთი, გაერთიანებული საზოგადოება. ასეთი რეორგანიზაცია მოხდა როგორც საკავშირო, ისე რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო მასშტაბითაც. ექსპერიმენტი ჩატარდა ბელორუსიაში და მან დადებითი შედეგი გამოიღო.

პროფკავშირების ერთიანი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების მუშაობის ძირითადი მიმართულებაა მოსახლეობაში მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის აქტივიზაცია. რეორგანიზაციის შედეგად ფიზკულტურულ კოლექტივებში პრაქტიკული მუშაობის საწარმოებლად გამოთავისუფლდება 2 ათასამდე სპეციალისტი, რომლებიც უშუალოდ იმუშავებენ ფიზკულტურელთა ფართო მასებთან. საჭიროა შეიქმნას ფიზკულტურულ-სპორტული კლუბები, საბჭოთა ადამიანებს, მშრომელებს შესაძლებლობა უნდა შეექმნათ იმეცადინონ სპორტის სასურველ სახეობაში, მაქსიმალურად გამოიყენონ სპორტული ბაზები, საცურაო აუზები, დარბაზები, გარდა ამისა, განახლდება მუშათა სპარტაკიადები, სტუდენტური უნივერსიადები.

ამავე დროს, დღემდე მომუშავე სპეციალისტებს, მათ შორის ხელმძღვანელ მუშაკებს, შეუნარჩუნდებათ: ადრინდელი პირობები, ხელფასი, მოეწყობა მათი ატესტაცია და ა. შ.

ბ. როგატინმა საგანგებოდ გაუსვა ხაზი, რომ ოსტატთა ცნობილი კლუბები სხვადასხვა სახეობაში კვლავაც ძველი სახელწოდებით იასპარეზებენ, „სპარტაკი“ „სპარტაკად“ დარჩება, „ტორპედო“ — „ტორპედოდ“, „ლოკომოტივი“ — „ლოკომოტივად“, ისინი ყველანი პროფკავშირების საკავშირო სპორტსაზოგადოების ერთიან სისტემაში გაერთიანდებიან.

რეორგანიზაცია მაისში უნდა დამთავრდეს, ესაა მეტად შრომატევადი სამუშაო, გარკვეული დადებითი ცვლილებები უნდა მოხდეს პროფკავშირულ გუნდებში, ცალკეულ გამოჩენილ მოწინავე სპორტსმენთა საქმიანობაში. ყველაფერი უნდა გაკეთდეს საიმისოდ, რომ პროფკავშირების გაერთიანებულმა სპორტსაზოგადოებამ დადებითი შედეგები მოგვიტანოს, იგი უფრო აქტიურად მოემსახურება მშრომელი ადამიანების ჯანმრთელობის გაუმჯობესების საქმეს.

ნაკრების კანდიდატად დაასახელეს

ლატვიის ქალაქ დაუგავპილსში დამთავრდა საბჭოთა კავშირის პროფკავშირების სპორტულ საზოგადოებათა პირადი პირველობა 1969-70 წლებში დაბადებულ მოკრივეთა შორის.

შეჯიბრებაში ჩვენი ქვეყნის ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, ბევრი ოლქისა და ქალაქის პროფკავშირულ სპორტულ საზოგადოებათა ნაკრები გუნდების წევრები მონაწილეობდნენ. სულ რინგზე 210 მოკრივე გამოვიდა.

საქართველოს სპორტულ ღირსებას 9 მოკრივე იცავდა. 6 მოკრივე „ბურევესტნიკის“ ოლიმპიური რეზერვის რესპუბლიკური სკოლის აღსაზრდელი, 2 — „ლოკომოტივის“ ქუთაისის საქალაქო საბჭოსი, 1 — „კოლმეურნეს“ წევრი.

კარგად იასპარეზა საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა ჰაბუკთა შორის, ობილისის საერთაშორისო ტურნირის ორგზის გამარჯვებულმა, სპორტის ოსტატმა ჯამბულად უუფარაძემ (75 კგ, „ბურევესტნიკი“, ქუთაისი, მწვრთნელები — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები ვალერი ბურჯანაძე და გია კუხიანიძე). მან ყველა მეტოქეს მოუგო და პირველი პრიზი დაისაკუთრა.

ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ოსტატობის კანდიდატმა არჩილ ბიბილურმა (91 კგ, „ბურევესტნიკი“, თბილისი, მწვრთნელები — სპორტის ოსტატი თამაზ კუპავა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ამირან გიორგაძე).

წლეულს კუბაში გაიმართება 1969-70 წლებში დაბადებულ მოკრივეთა მსოფლიო პირველობა, დაუგავპილსის ტურნირი ერთ-ერთი შესარჩევი შეჯიბრება იყო ნაკრების დასაკომპლექტებლად. სასიხარულოა, რომ ჯამბულად უუფარაძე საკავშირო პროფკავშირთა ნაკრების ერთ-ერთ კანდიდატად დაასახელეს.

ჩვენი ბიჭები ამ შეჯიბრებისთვის მოამზადეს სპორტის ოსტატებმა სერგო ბერძენიშვილმა, გიორგი შახსუვარიანმა და სოსო წინამძღვრიშვილმა.

ამბრან გიორგაძე,
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

სროლის საკავშირო კვირეული

სროლის საკავშირო კვირეულის პროგრამით ცხაკაიაში ჩატარდა რაიონის პირად-გუნდური შეჯიბრება. რაიონის საწარმო-დაწესებულებათა ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის პირველი ადგილი დაიკავეს ავტოსატრანსპორტო გაერთიანების ფიზკულტურელებმა. პირად ჩათვლაში ქალთა შორის საუკეთესონი იყვნენ ლარისა ქაკოვა (ხალიჩების კომბინატი), ვაჟა ჩიქობავა (ცხაკაიის გაზის ტრესტი).

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებს შორის თავი ისახელა სოფელ ეკის გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის გუნდმა. პირად პირველობაში გაიმარჯვა მანანა გოგოლმა (ახალსენაკის საბჭოთა მეურნეობა) და გუია შამათავამ (ფოცხის კოლმეურნეობა).

ზუგდიდის რაიონში სროლის მოყვარულებმა დოსაფის სასროლეთზე ისპარეზეს. კოლმეურნეობების წარმომადგენელთა შორის საუკეთესონი აღმოჩნდნენ ოდიშელი ფიზკულტურელები, საბჭოთა მეურნეობებისა და საწარმო-დაწესებულებათა შეჯიბრებაში — ჩაის საწარმოო გაერთიანების კოლექტივი.

ნუგზარ შვანია,
„ლელოს“ ზონალური კორესპონდენტი.

ეზოც აღზრდის კერაა

ვლარ შევურიგდებით

„პატივცემულო რედაქცია, ბოდიშს გიხდით, რომ გაწუხებთ, მაგრამ სხვა გზას ვერ ვხედავთ. ხაქმე ისაა, რომ არა გვაქვს ბურთის სათამაშო ადგილი. ადრე სკოლის ეზოში ვთამაშობდით, წელს კი იმ ადგილზე სკოლის ახალი კორპუსი ააგეს. ავდექით და ავედით ნაძვნარში გადავინაცვლეთ, მაგრამ აქედანაც გვერეკებიან. საცხოვრებელი სახლის ეზოში არის ადგილი, სადაც შეიძლება მოედნის მოწყობა, მაგრამ ამაზე არავინ ზრუნავს“.

წერილს ხელს აწერდნენ ქვიშხეთის ქუჩის მე-5 კორპუსის მცხოვრებნი. ეს საცხოვრებელი სახლი 1975 წელს აუგიათ. იქვე, კორპუსის წინ, შეიძლებოდა ფეხბურთის პატარა მოედნის მოწყობა, მაგრამ უფროსებს ყური არ უგდიათ შვილების თხოვნისთვის და ტალავერი გაუმართავთ, დარჩენილი ადგილი კი მანქანების სადგომად გამოუყენებიათ.

კორპუსის მეორე მხარეს არის პატარა მოსწორებული ადგილი, სადაც თავისუფლად გაიმართება ფრენბურთის მოედანი. ბავშვებიც აქ თამაშობდნენ თურმე, მაგრამ ეს ადგილიც დიდებს მიუსაკუთრებიათ მანქანების დასაყენებლად და სარემონტოდ.

გადავწყვიტეთ მიკრორაიონი შემოგვევლო და დაგვედგინა შეუძლიათ თუ არა მომჩივანთა ბავშვებს მეზობელი კორპუსის მოედნით მაინც ისარგებლონ. ქვიშხეთის პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე კორპუსებს შორის იმოდენა ადგილია, რომ აქ თავისუფლად გაიმართება სპორტული მოედანი, მაგრამ კორპუსების ბინადართ პატარა ბაღ-ბოსტნით დაწყებული და ავტომანქანის სადგომებით დამთავრებული, ყველაფერი შემოუღობიათ, სპორტული მოედანი კი არავის გახსენებია.

მანქანების პატრონები ძალით, უფრო კი იმიტომ, რომ მეზობლები რიდით ვერაფერს ეუბნებიან, მთელ ეზო-უყურეს იკავებენ.

როგორც ჩანს, დროა საქმეში შესაბამისი ორგანოები ჩაერიონ. საზოგადო საქმისადმი ასეთ გულგრილ დამოკიდებულებას დღეს ვეღარავინ შეურიგდება.

ლევან ჯაბაძე.

სინათლე „გურიის“ სტადიონზე

დასასრული

რაიმე ხომ არ გამომრჩა, ვაი თუ ხელი რამემ შემიშალოსო, ტრიბუნები მზადაა, მხოლოდ ერთი სექტორი დარჩა შესაღები; მზადაა ფეხბურთელთა გახახდელიც და მსაჯთა ოთახებიც, საშხაპეებიც და ტელერადიოკომენტატორთა ჯიხურებიც. მინდორი და მთლიანად სტადიონის ტერიტორია შემოღობილია. ამჟამად მიმდინარეობს განათების პროექტორებისა და ელექტრომაინფორმაციო ტაბლოს სრული გამართვის პროცესი. დიდი სამუშაოები ტარდება ტერიტორიის გასამწვანებლად. რომელი ერთი ჩამოვთვალო... ერთი სიტყვით, ლანჩხუთის „გურიის“ სტადიონი მზადაა 9 მარტს უმახპინძლოს ჩვენს ქალაქში დიდი ფეხბურთის მობრძანებას. ამ დღეებში მიმღები კომიხიის წევრები გვესტუმრებიან და ალბათ ისინი უკეთესად შეაფასებენ მშენებელთა ნაღვაწს“.

გვესაუბრება საქაგრომშენის მთავარი ექსპერტი ნოდარ ჯაჯაია: „რაც ლანჩხუთში ვარ, პირველად ამოვისუნთქე შვებით. დიახ, გრიგოლეთის სტადიონი და ბაზა მზადაა. მთლიანად დამთავრებულია ორსართულიანი საცხოვრებელი კორპუსი ათავსი აღდგენითი ცენტრით, ხაუნით და ხაშხაპეებით.

ბევრი კრიტიკული სიტყვა ითქვა გრიგოლეთში ავრომშენის № 10 ქობულეთის სამშენებლო სამმართველოს სამქიანობის მიმართ, რომელიც თავიდან გრაფიკიდან ამოვარდა, მაგრამ კოლექტივმა ბოლო დღეებში შეძლო მობილიზება და 2 მარტს ისინი სახადილოს ჩაგვაბარებენ. მართალია, წყალდამწნევი კოშკის მოსტაჟი დღეს, ხოლო საქვაბის გაშვება 5 მარტს დამთავრდება, მაგრამ საცხოვრებელი კორპუსი და სახადილო უკვე უზრუნველყოფილია ცხელი და ცივი წყლით. რაც მთავარია, სამუშაოები სამივე მინდორზე დამთავრდა და ჩვენს ფეხბურთელებს ვარჯიშისა და დასვენების საუკეთესო პირობები აქვთ. მალე დამთავრდება ტერიტორიისა და მისახსვლელი გზების კეთილმოწყობის სამუშაოებიც.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა გადავუხადო ლანჩხუთის რაიონის ხელმძღვანელებს, ახალ მშენებლობაზე დახარჯებულ უველა სამშენებლო თუ სამონტაჟო ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომლებმაც შეძლეს ახეთი სამუშაოების ახეთ მოკლე დროში დამთავრება“.

...მათ ნათქვამს აღარაფერს დავუმატებთ, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ახვე ორ-სამ დღეში მზად იქნება სახტუმრო. მაღალი ტემპით მიმდინარეობს რკინაგზის ხაზების და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობისა და შემოღობვის სამუშაოები, რომელსაც ამიერკავკასიის რკინაგზის სამმართველოს სამტრედიის კვანძის უფროსობის მოადგილე რემი ვაშაკიძე ხელმძღვანელობს. 5 მარტისთვის ეს სამუშაოებიც დამთავრდება.

თამაზ ხარაბაძე,
„ლელოს“ სპეც. კორ.

ლანჩხუთი.

ლანჩხუთის „გურიის“ სტადიონის მშენებლობაზე ხახახელოდ ეშრომეს ავრომშენის № 8 ტრესტის ლანჩხუთის № 70 მოძრავ-მექანიზებული კოლონისა და „საქმიდროენერგომშენის“ ხაგზაო მშენებლობის სამმართველოს (უფროსი ზ. ძოწენიძე) კოლექტივებმა.

ხურათებზე: მარცხნივ — ლანჩხუთის № 70 მოძრავ-მექანიზებული კოლონის მუშაკები მეინტენე ე. პატარაია, კოლონის უფროსი რ. ორაგველიძე, საქაგრომშენის მთავარი ექსპერტი ნ. ჯაჯაია და დურგალი ა. პატარაია. მარჯვნივ—„საქმიდროენერგომშენის“ ხაგზაო მშენებლობის სამმართველოს კოლექტივის წევრები რ. ხალაგაძე, ა. ღვამიჩავა, ო. ბუცაძე, სამუშაოების მწარმოებელი მ. ხვანიძე და ა. ხალაგაძე.

თ. ჯავახიძის ფოტოები.

ვოკალი

სპორტსაზოგადოება „ზენიტის“ რესპუბლიკურმა საბჭომ ჩაატარა შრომითი კოლექტივების ზამთრის სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება მშდ კომპლექსის ზამთრის მრავალშიდში.

შეჯიბრებაში 10 გუნდის 100-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა.

ვლადიმერ ჩაკაძენი,
„ზენიტის“ რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი.

საქართველოს ჩემპიონატი ფეხბურთში

ერთეული

ხანგრძლივი საფეხბურთო არდადეგები დასრულდა, დაიწყო ახალი, 1987 წლის საინტერესო სეზონი.

ფეხბურთს უყვარხო დიდი ინტერესით მოველით, პროგრამა მისი ვრცელი და საინტერესოა: წლეულს ვიხილავთ უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის, I და II ლიგების გათამაშებათა შეხვედრებს, ევროპის საკლუბო ტურნირების, სსრ კავშირის პირველი ნაკრების, ოლიმპიური გუნდის, საკავშირო თასის მატჩებს, ბავშვებისა თუ ჯაბუკთა შეჯიბრებებს. მაგრამ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ არანაკლები ინტერესით მოველით საქართველოს პირველობას. ესაა ჩვენი ყველაზე მასობრივი, ყველაზე ხანგრძლივი შეჯიბრება და თუ უმაღლესი ლიგის გუნდების შეხვედრებს ფეხბურთის მოყვარულთა მხოლოდ გარკვეული ნაწილი ესწრება, საქართველოს პირველობა, როგორც ყველაზე მასობრივი შეჯიბრება, ვრცელი მასშტაბით მიმდინარეობს რესპუბლიკის ქალაქების, რაიონული ცენტრების, სოფლების სტადიონებზე, მის ყოველ საფეხბურთო მატჩს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, აქ უნდა ვეძიოთ ახალგაზრდა, პერსპექტიული ფეხბურთელები, თვალი მივადევნოთ ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებულ ყოველ ჯაბუკს, ვეძიოთ, დაუღალავად ვეძიოთ ახალი ტალანტები, გამოცდილი ოსტატების შემცვლელი თაობა.

ჩვენს ქვეყანაში ბოლო წლებში მნიშვნელოვანი გარდაქმნები და ცვლილებები ხდება, ბევრ რამეს პოლიტიკური თვალით უნდა შევხედოთ. ეს გარდაქმნები, ცხადია, ფეხბურთის სფეროსაც ეხება. წლეულს საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებს პირველი ჯგუფის 24 გუნდი, მეორე ჯგუფში კი 70 გუნდი იასპარეზებს, რომლებიც ტერიტორიული პრინციპით 4 ქვეჯგუფად არიან დაყოფილი. პირველი ჯგუფის გათამაშებას სტარტი მიეცემა დღეს, 28 თებერვალს, ხოლო მეორე ჯგუფისას — 14 მარტს. ჩატარდება ზონალური გათამაშებებიც, სადაც რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების გუნდები დაშვებული არიან ადგილობრივი სპორტკომიტეტებისა და სპორტსაზოგადოებათა წერილობითი შუამდგომლობის საფუძველზე.

საქართველოს 1987 წლის ჩემპიონატში მონაწილეობს I ჯგუფის 24 გუნდი:

„შაქრეველი“ (წყალტუბო), „ხვიჩელი“ (ჩხოროწყუ), „ხულო“ (ვანი), „მეტალურგი“ (ზესტაფონი), „დინამო“ (ზუგდიდი), „მაღნეული“ (ბოლნისი), „კახეთი“ (თელავი), „არმაზი“ (მცხეთა), „ამერანი“ (ონჩამჩირე), „ეგრისი“ (ცხაკაია), „ივერია“ (ხაშური), „დინამო“ (გაგრა), „მერცხალი“ (ახალციხე), ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი), „ხალხონი“ (ლენტეხკორი), „დურუჯი“ (ყვარელი), „ხვარტაკი“ (ცხინვალი), „ხაპოვნელა“ (ოერჯოლა), „ხვური“ (წალენჯიხა), „ქართლი“ (გორის რ-ნი), „კოლხეთი“ (ხობი), „იმერეთი“ (ქუთაისი), „იმედი“-„დინამო“-2 (თბილისი), ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი).

როგორც ხედავთ, წინა წლებისგან განსხვავებით რესპუბლიკის 24 საუკეთესო გუნდი ერთ ჯგუფშია გაერთიანებული, ისინი ერთმანეთს შეხვდებიან წმინდა სპორტული პრინციპით: ყველა — ყველასთან, შინ და სტუმრად. საფეხბურთო გარდაქმნებმა, საჭიროებამ მოითხოვა, რომ პირველი ჯგუფის შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება მიეღო თბილისის ორ ახალ გუნდს, აგრეთვე, ქუთაისის „იმერეთს“. ეს იმითაა განპირობებული, რომ თბილისსა და ქუთაისშიც მრავლადაა ბავშვთა და ჯაბუკთა სპეციალიზებული სკოლები, აქ აღზრდილ ახალგაზრდა ფეხბურთელებს საშუალება უნდა მივცეთ დიდ ასპარეზზე, მოზრდილთა მხარდამხარ გამოსცადონ თავიანთი ძალები. ახალგაზრდა თბილისელ და ქუთაისელ ფეხბურთელებს საშუალება მიეცემათ ითამაშონ თავიანთი ქალაქების გუნდებში და სპორტული ბედი არ ეძიონ უცხო გუნდებში. წინა წლების გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ ე. წ. მოხეტიალე ფეხბურთელი მოკლებულია ნორმალური წვრთნის პირობებს, მისი სპორტული ოსტატობა, ამაღლების ნაცვლად, ხშირ შემთხვევაში ქვეითდება და იშვიათი არაა, როცა უსამართლოდ ეკარგათ ნიჭიერ, პერსპექტიულ ფეხბურთელებს.

მეორე ჯგუფის 70 გუნდი დაყოფილია 4 ქვეჯგუფად:

I ქვეჯგუფი

„ბაბტრიონი“ (ახმეტა), „შენებელი“ (რუხთავი), „ხამგორი“ (გარდაბანი), „ჰერეთი“ (ლაგოდეხი), „ალაზანი“ (გურჯაანი), „გარეჯი“ (ხაგარეჯო), „შირაქი“ (წითელი წყარო), „ქვემო ალვანი“ (ახმეტის რ-ნი), „ვარდისუბანი“ (ლაგოდეხის რ-ნი), „ქიზიყი“ (ყიზლარი), „მეტალისტი“ (რუხთავი), ხასწავლო-ხაცდელი მეურნეობა (მუხრანი), „ხინათლე“-„სპორტინტერნატი“ (თბილისი), უნივერსიტეტი (თბილისი), პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი), ხასოფლო-ხამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი), „ფოსტამატი“ (თბილისი), „ივერია-35“ (თბილისი).

II ქვეჯგუფი

„განთიადი“ (კახეთი), „მესხეთი“ (ახალციხე), „ალგეთი“ (მარნეული), „აბული“ (ახალქალაქი), „ძრიალეთი“ (წალკა), „არაგვი“ (დუშეთი), „გარიხი“ (თეთრი წყარო), „კოლმეურნე“ (მარნეულის რ-ნი), „ლიახვი“ (ცხინვალის რ-ნი), „განთიადი“ (დმანისი), „თორი“ (ბორჯომი), „ვარძია“ (ახპინძა), „ფარავანა“ (ბოგდანოვკა), „მეავეჯე“ (ახალდაბა), „ავტომობილისტი“ (გორი), „მარაბდა“ (კოდა), „ზარზმა“ (ადიგენი).

III ქვეჯგუფი

„მაღაროელი“ (ჭიათურა), „ხაირმე“ (მაიაკოვკი), „ჩიხურა“ (ხაჩხერე), „მეშაქრე“ (აგარა), „იმერეთი“ (წულუკიძე), „კოლმეურნე“ (ტყიბული), „ებერია“ (ქარელი), „მშენებელი“ (ჭიათურა), „ხვამლი“ (ცაგერი), პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი), „ჭოგნარი“ (თერჯოლის რ-ნი), „მეტალურგმშენი“ (ზესტაფონი), ხდკ (ხაბარდინა), „ჩხერიმელა“ (ორჯონიკიძე), „ჭიმიკოხი“ (ამბროლაური), „კოლმეურნე“ (ონი), „ზანა“ (აბაშა).

IV ქვეჯგუფი

„ბაბამარი“ (ჩოხატაური), „მზიური“ (გალი), „ოდიში“ (ზუგდიდის რ-ნი), „ნარინჯი“ (ქობულეთი), „ჩიბათი“ (ლანჩხუთი), „დვაბზუ“ (მახარაძე), „ალიონი“ (გალის რ-ნი), „კოლხეთმშენი“ (ფოთი), „განთიადი“ (ცხაკაია), „მეშახტე“ (ტყვარჩელი), „ნარინჯი“ (გონიო), „კოლმეურნე“ (გაგრა), „ხუბტროპიკი“ (ხიხუმი), „დინამო“-2 (ბათუმი), „ნაპერწკალი“ (ოჩხუმი), „დარჩელი“ (ზუგდიდის რ-ნი), „ავტომობილისტი“ (ბათუმი), „უნივერსიტეტი“ (ხიხუმი).

გარდა ამისა, 8 ქვეჯგუფად ჩატარდება რესპუბლიკის ზონალური გათამაშება. სადაც, როგორც ვთქვით, გუნდები დაშვებიან ადგილობრივი სპორტკომიტეტების შუამდგომლობის საფუძველზე.

ყველაფერი ეს რესპუბლიკური მასშტაბის ღონისძიებებია, მაგრამ გარდა ამისა, თითოეულმა ქალაქმა და რაიონმა უნდა ჩაატაროს საკუთარი რეგიონალური შეჯიბრებები, ეს სარაიონო და საქალაქო შეჯიბრებები რესპუბლიკურ გათამაშებათა საწყის ეტაპს წარმოადგენს. მათი დებულება და კალენდარი დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს საქართველოს სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოს.

1988 წლიდან, წლევანდელ შეჯიბრებათა სპორტული პრინციპის გათვალისწინებით, საქართველოს პირველობა ჩატარდება უმაღლეს, პირველ და მეორე ჯგუფებში, გაიმართება ჯგუფში, აგრეთვე, ზონალურ გათამაშებებში თუ ორი გუნდი ქულათა თანაბარ რაოდენობას დააგროვებს, **პირველი ადგილის** გამოსავლენად ნეიტრალურ მინდორზე მათ შორის გაიმართება ერთი დამატებითი თამაში. თუ გუნდების რაოდენობა მეტი იქნა, პირველი ადგილის გამოსავლენად ამ გუნდებს შორის თბილისში მოეწყობა ერთწრიანი დამატებითი ტურნირი. ქულათა თანაბრობისას ანალოგიური წესით გამოვლინდებიან ის გუნდებიც, რომლებსაც შემდგომ წელს დაბალ ჯგუფში გადასვლა უწევთ.

სხვა დანარჩენი ადგილების გამოსავლენად ქულათა თანაბრობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელსაც მოგებათა მეტი რაოდენობა ექნება, შემდეგ — უშუალოდ ერთმანეთთან ნათამაშევ შეხვედრათა უკეთესი შედეგები (ჯერ —ქულები, შემდეგ—გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა), შემდეგ — დისციპლინარულ დარღვევათა ნაკლები რაოდენობა და, ბოლოს, მთელ პირველობაში გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა. როგორც ხედავთ, უკეთესი დისციპლინა, უკეთესი წესრიგი აქ გარკვეულ, სამართლიან უპირატესობას აძლევს კოლექტივს.

საქართველოს პირველობაზე მოწაწილე პირველი და მეორე ჯგუფების გუნდების მწვრთნელებიც და მოთამაშეებიც ვალდებული არიან ფეხბურთის სამმართველოსა და ფედერაციის კომისიას ჩააბარონ ფეხბურთის თამაშის წესები, ფიზიკური და ტექნიკური მომზადების ნორმატივები. დებულების ეს პუნქტიც მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი საფეხბურთო კოლექტივებისთვის.

საქართველოს პირველობაზე მონაწილე თითოეული გუნდის შემადგენლობაში თამაშის უფლება აქვთ მხოლოდ იმ ფეხბურთელებს, რომლებიც მუდმივად არიან ჩაწერილი შესაბამის ქალაქსა და რაიონში ბოლო 3 წლის მანძილზე და სამხედრო აღრიცხვაზე იმყოფებიან. **კონკრეტულად, 1987 წლის ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელი ქალაქსა თუ რაიონში ჩაწერილი უნდა იყოს 1984 წლიდან.**

საბჭოთა არმიიდან დემობილიზებულებს უფლება აქვთ საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღონ იმ ქალაქის ან რაიონის **გუნდებში**, საიდანაც ისინი გაწვეული იყვნენ სავალდებულო სამხედრო სამსახურში.

საქართველოს პირველობის I და II ჯგუფების გუნდების შემადგენლობებში დაიშვებიან ფეხბურთელები, რომლებსაც შეუსრულდათ 16 წელი.

საქართველოს პირველობის I და II ჯგუფების გუნდებმა ყოველ კალენდარულ მატჩში მინდორზე ერთდროულად უნდა იყოლიონ 1969-70-71 წლებში დაბადებული ორი ფეხბურთელი. ოსტატთა გუნდებიდან განთავისუფლებული ფეხბურთელები მშობლიური ქალაქის ან რაიონის გუნდის განაცხადში შეიძლება შეყვანილი იქნან მხოლოდ 1 სექტემბრამდე.

იმ გუნდებს, რომელთა შემადგენლობიდანაც მოთამაშეებს ოსტატთა კოლექტივებში მიიწვევენ, უფლება ეძლევათ განაცხადში დამატებით შეიყვანონ იმდენივე ფეხბურთელი. თუ რომელიმე გუნდიდან რესპუბლიკის ნაკრებში მიწვეულია არა უმეტეს 3 ფეხბურთელისა, იგი შეჯიბრებას განაგრძობს ამ მოთამაშეთა გარეშე.

სეზონის განმავლობაში დაუშვებელია ფეხბურთელთა დაბალ ჯგუფში გადასვლა.

საქართველოს პირველობის კალენდარულ მატჩებში ნებადართულია 5 მოთამაშის შეცვლა.

როგორც ყოველთვის, საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის დებულებაში საგანგებო პუნქტებია შეტანილი დისციპლინარულ საკითხებზე. ეს ჩვენი საფეხბურთო ცხოვრების პრობლემათა პრობლემაა, წესრიგის დაცვას ყველგან და ყველაფერში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა და, რა თქმა უნდა, ეს, უპირველეს ყოვლისა, საფეხბურთო შეჯიბრებებზეც ვრცელდება.

დისციპლინის დარღვევისთვის მინდვრიდან გაძევებული ფეხბურთელის საკითხი აუცილებლად უნდა განიხილოს გუნდის საერთო კრებამ და თავისი გადაწყვეტილება წარუდგინოს რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციის სპორტტექნიკურ კომისიას. სპორტტექნიკური კომისიის მიერ საკითხის განხილვამდე ასეთი ფეხბურთელი მორიგ თამაშებზე არ დაიშვება.

დისკვალიფიცირებული ან განუცხადებელი მოთამაშის შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის გუნდს ჩაეთვლება წაგება.

მსაჯის მიერ ორჯერ გაფრთხილებული ფეხბურთელი ავტომატურად გამოტოვებს ერთ თამაშს, შემდგომში, მესამე გაფრთხილებისთვის — 3 თამაშს, მეოთხე გაფრთხილებისთვის — 5 თამაშს. თუ ფეხბურთელი მეხუთედაც გაფრთხილეს, მას ერთი წლის ვადით ეკრძალება თამაში.

მინდვრიდან ორჯერ გაძევებულ ფეხბურთელს დისკვალიფიკაცია მიეცემა ერთი წლით.

თუ ფეხბურთელი მინდვრიდან გააძევეს, შემდეგ კი გაფრთხილება დაიმსახურა, მას 3 მატჩით აეკრძალება თამაში, გაძევებისა და მეორე გაფრთხილების შემთხვევაში — 5 თამაშით, მესამე გაფრთხილებისთვის — ერთი წლით.

მსაჯის ფიზიკური შეურაცხყოფისთვის ფეხბურთელს სამუდამოდ ეკრძალება ოფიციალურ შეჯიბრებებში მონაწილეობა. თუ ფეხბურთელმა მსაჯის ფიზიკური **შეურაცხყოფის მცდელობა** ჩაიდინა, ან სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მას, იგი 15 კალენდარულ მატჩს გამოტოვებს.

მსაჯთან სისტემატური კამათისთვის, ორმხრივი ჩხუბისთვის გათვალისწინებულია დისკვალიფიკაცია 10 მატჩით.

წესრიგის დამრღვევი ფეხბურთელებისთვის მკაცრი ზომებია გათვალისწინებული სხვა უღირსი საქციელისთვისაც.

დაისჯებიან არა მარტო ფეხბურთელები და მათი მწვრთნელები, არამედ ის ხელმძღვანელი სპორტული მუშაკებიც, რომლებიც უტაქტობას გამოიჩენენ მსაჯთა მიმართ, უწესრიგობისაკენ წააქეზებენ ფეხბურთელებს, ან მაყურებლებს.

თუ გუნდმა წინასწარი განზრახვით დატოვა მინდორი თამაშის დამთავრებამდე, მას ჩაეთვლება წაგება, მოიხსნება გათამაშებიდან და შემდგომ სეზონში მხოლოდ დაბალ ჯგუფში თამაშის უფლება მიეცემა.

იმ შემთხვევაში, თუ გუნდი თვითნებურად გამოეთიშა გათამაშებას, შემდგომ წელს იგი დაბალ ჯგუფში გადაინაცვლებს.

სრული წესრიგი უნდა დავიცვათ სტადიონებზე. სადაც საფეხბურთო შეჯიბრებები ეწყობა. თუ სხვადასხვა მიზეზით თამაში ჩაიშალა, მასპინძელ გუნდს წაგება ჩაეთვლება, ინციდენტს განიხილავენ როგორც ადგილობრივი ხელმძღვანელი, ისე რესპუბლიკური საფეხბურთო ორგანოებიც.

კალენდარულ მატჩზე გუნდის გამოუცხადებლობის მიზეზს განიხილავს ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომისია, მსგავსი ამბის გამეორების შემთხვევაში გუნდი მოიხსნება გათამაშებიდან, შემდგომი სეზონიდან იგი იმავე ჯგუფში მონაწილეობის უფლებას კარგავს.

არაასპორტული გზით მოპოვებული შედეგები გაუქმდება, გუნდების ხელმძღვანელთა საკითხს განიხილავს საქართველოს სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველო.

წლიდან წლამდე უკმაყოფილონი ვართ, და ხშირად სამართლიანადაც, მსაჯობით. წლეულს ყველაფერი უნდა გაკეთდეს მსაჯობის დონის ასამაღლებლად. ადგილობრივი სპორტკომიტეტები ვალდებული არიან ბრძანებით დანიშნონ სათადარიგო მსაჯები, რომლებსაც ოფიციალური უფლება ექნებათ მსაჯის ჩამოუსვლელობის შემთხვევაში ჩაატარონ თამაში. ისევე, როგორც წარსულ წლებში, პროტესტი მატჩის თაობაზე არ მიიღება თუ იგი მოტივირებულია საჯარიმო და 11-მეტრიანებით, თამაშგარე მდგომარეობით, ან გატანილი ბურთის განსაზღვრით. გუნდის წარმომადგენელი ან მწვრთნელი, რომელსაც პროტესტი შეაქვს, ვალდებულია მატჩის ოქმში აღნიშნოს საჩივრის მიზეზი და პროტესტის შესახებ აცნობოს მეტოქე გუნდის ხელმძღვანელობას. წერილობითი საჩივარი ფეხბურთის სამმართველოში უნდა წარდგენილი იქნას მატჩის შემდეგ ორი დღის განმავლობაში, ამ დროის გადაცილების შემთხვევაში პროტესტი განსახილველად არ მიიღება. მსაჯი ვალდებულია დაუყოვნებლივ წარმოადგინოს ფეხბურთის სამმართველოში ახსნა-განმარტებითი ბარათი საჩივრის თაობაზე.

გუნდს, რომელიც რესპუბლიკის ჩემპიონატის I ჯგუფში მოიპოვებს პირველ ადგილს, მიენიჭება საქართველოს სსრ ჩემპიონის წოდება, იგი დაჯილდოდება საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი თასით და პირველი ხარისხის დიპლომით. შესაბამისად დაჯილდოვდებიან გუნდის მწვრთნელები და ფეხბურთელებიც.

საქართველოს სსრ 1987 წლის ჩემპიონი, მომდევნო, 1988 წელს ადგილს დაიკავებს II ლიგის ოხტატთა საკავშირო გათამაშებაში ამ გუნდის ნაცვლად, რომელსაც ყველაზე უარესი შედეგი ექნება რესპუბლიკის II ლიგის გუნდებს შორის (ამასთან, საქართველოს ჩემპიონი უნდა აკმაყოფილებდეს II ლიგის ოხტატთა გუნდებისთვის წარდგენილ ყველა სავალდებულო მოთხოვნას).

გუნდები, რომლებიც პირველ ჯგუფში დაიკავებენ მეორე და მესამე ადგილებს, დაჯილდოვდებიან რესპუბლიკის სპორტსახკომის საპატიო ხარისხის დიპლომებით.

სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 1 მარტი. ოქროყანის სპორტული ბაზა. **ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ხამეგრელო“ (ჩხოროწყუ).** დასაწყისი 12 ს.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

ალმაცერობის გზაზე

(დასასრული)

მოსკოველები შეტევაზე გადმოვიდნენ, მაგრამ თბილისელებმა ჩაფუშეს მათი იერიში.

შეხვედრის დამთავრებამდე წამი რჩებოდა, როცა უმცროსმა გიორგაძემ, რომელიც მეტოქის კარის მისადგომებთან დარჩა, თანაგუნდელთა გადაცემა მიიღო.

ეს იყო პირველი წრის პირველი ტურის ბოლო შეხვედრა. ამ დღეს ერთმანეთს შეხვდნენ ერთპიროვნული ლიდერები. მათ ბრძოლას უნდა ეჩვენებინა, თუ ვინ არის დღეს მათ შორის ჭეშმარიტად უძლიერესი.

ამ გუნდების შეხვედრა კიდევ ერთი გარემოების გამო იყო საინტერესო. დინამოელთა მეკარე გიორგაძე და უნივერსიტეტელთა კარის დარაჯი შარაფეევი საკვშირო ნაკრებში დამკვიდრებაზე აცხადებენ პრეტენზიას და მათ სწორედ ახლა უნდა გამოეჩინათ თავი.

შეხვედრა ძალზე მაღალ ტემპში დაიწყო და ასევე დამთავრდა. მეკარეების „დუელში“, თამამად შეიძლება ითქვას, გიორგაძემ გაიმარჯვა. უნივერსიტეტელებმა რვა შემთხვევიდან ხუთჯერ რომ ვერ გამოიყენეს ზედმეტი მოთამაშე, ეს არამხოლოდ ჩვენი მცველების, არამედ, უწინარეს ყოვლისა, მეკარე გიორგაძის შემწეობით მოხდა.

უნივერსიტეტის კარის დარაჯ შარაფეევს კი ალბათ დიდ ლაფსუსად ჩაუთვლიან გოლს, რომელიც კანდელაკმა ცენტრიდან გაიტანა..

ორივე გუნდი ბოლომდე თავდაუზოგავად იბრძოდა. იერიშს ელვისებური კონტრშეტევა მოსდევდა.

ანგარიში უნივერსიტეტელებმა გახსნეს. დინამოელებმა სპასუხო ბურთი გაიტანეს და მალე დაწინაურდნენ კიდეც. ამის შემდეგ, მესამე პერიოდის ბოლომდე, უნივერსიტეტელები მდევრების როლში იყვნენ. დინამოელთა დაწინაურებას ანგარიშის გათანაბრება მოსდევდა. მატჩი იწურებოდა და ტაბლოზე 5:5 ენთო. სწორედ მაშინ გაიტანა მშვენიერაძემ ბურთი და მალე უნივერსიტეტელთა კარსაც საფრთხე დაემუქრა. უმცროსმა გიორგაძემ გრძელი პასი მიიღო, აღარ დააყოვნა და ბურთი კარში ტყორცნა. თამაშის დამთავრების მაუწყებელი სირენის ხმა და ბურთის კარში შევარდნა ერთი იყო. მსაჯთა კოლეგიამ ბურთი არ ჩათვალა.

ერთი სიტყვით, დინამოელები დამარცხდნენ, მაგრამ შეხვედრა ფრედ უნდა დამთავრებულიყო.

თბილისელთაგან გოლები გაიტანეს კანდელაკმა (2), ნიკოლაიშვილმა, კოლუაშვილმა და გიორგაძემ, ხოლო მოსკოველთაგან — ჩეკუნოვმა, ნაუმოვმა, შჩიპაციხინმა (2), მოროზოვმა და მშვენიერაძემ.

უნდა ითქვას, რომ თბილისელებს აგერ უკვე ოცი წელია, ასე ჯარგად არ უთამაშიათ. თავად განსაჯეთ: 10 შესაძლებლიდან — 8 ჭულა! მხოლოდ ერთი შეხვედრა წააგეს და ისიც თანაბარ ბრძოლაში.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ „დინამო“ ალმავლობის გზაზეა. გუნდის შემადგენლობაც სტაბილურია და, როგორც დინამოელთა უფროსმა მწვრთნელმა ირაკლი ჩხიკვაძემ გვითხრა, უახლოეს წლებში ცვლილება მოსალოდნელი არაა.

უფროსი მწვრთნელი განსაკუთრებით გუნდის გამოცდილ წევრთა ქარგმა თამაშმა აღაფრთოვანა. კარს ძალზე საიმედოდ, ჩვეული ოსტატობით იცავდა უფროსი გიორგაძე. ზუმბულეიძემ დიდი მოცულობის „შავი სამუშაო“ შეასრულა, კოლუაშვილი მეტოქეთა საუკეთესო თავდამსხმელებს ებრძოდა, ყველგან ვხედავდით გვახარიას. კუტივაძეზე თქვეს, საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში შეუძლია ითამაშოსო. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თბილისელებმა ყველა პრობლემა გადაჭრეს. დიახ, ზედმეტ მოთამაშეს ჯერ კიდევ ვერ იყენებენ წარმატებით. მოსკოვში 27-ჯერ ჰყავდათ ზედმეტი მოთამაშე და აქედან მხოლოდ 14-ჯერ შეძლეს რიცხობრივი უპირატესობის რეალიზება. გარდა ამისა, პერიოდების დასაწყისში ბურთი 20 წამზე მეტხანს ხელში.

მომდევნო ტური ერთი კვირის შემდეგ დაიწყება და დინამოელები შინ იასპარეზებენ. იმედია, ისინი მონაპოვარს დაიცავენ.

ავთანდილ გურაბანაშვილი.
„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი.

მოსკოვი — თბილისი.

სარბიელზე არიან თბილისის „დინამოსა“ და ლენინგრადის „ბალტიკას“ წყალბურთელები.
ავტორის ფოტო.

ალმა-ათა. ტურის ბოლო დღის ერთ-ერთი მოულოდნელობა ადგილობრივ წყალბურთელთა მარცხი გახლდათ. კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდმა დაამარცხა ალმა-ათის „დინამო“ — 14:13 (6:3, 3:4, 2:3, 3:3).

სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „დინამო“ (ლვოვი) — „დინამო“ (კიევი) 10:8 (2:3, 4:2, 2:2, 2:1), „დინამო“ (მოსკოვი) — „მოსკვიჩი“ 8:7 (3:1, 2:3, 0:1, 3:2).

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„უნივერ.“ (მოსკ.)	5	5	0	0	50-30	10
„დინამო“ (მოსკ.)	5	4	1	0	53-42	9
„დინამო“ (თბ.)	5	4	0	1	41-36	8
„დინამო“ (ა-ათა)	5	3	1	1	50-44	7
ცსკა ვმფ	5	3	0	2	49-40	6
„დინ.“ (ლვოვი)	5	3	0	2	48-48	6
კჭფ (ბაქო)	5	2	0	3	50-55	4
„ლოკომ.“ (ხარკ.)	5	2	0	3	30-39	4
„დინამო“ (კიევი)	5	1	0	4	42-49	2
„მოსკვიჩი“	5	1	0	4	40-45	2
კჩფ (სევასტ.)	5	1	0	4	31-35	2
„ბალტ.“ (ლენ.)	5	0	0	5	24-45	0

ა. კარპოვ — ა. სოკოლოვის სუპერფინალი

მეორე პარტია

პარტიის დახურულში თეთრებმა ერთგვარ პოზიციურ უპირატესობას მიაღწიეს, მაგრამ ანდრეი სოკოლოვი აქტიურად იცავდა თავს, გამუდმებით ეძებდა კონტრთამაშის გზებს. ფიგურების გაცვლის შემდეგ დაფაზე თანაბარი პოზიცია შეიქმნა და 31-ე სვლაზე სოკოლოვმა ყაიმი შესთავაზა მეტოქეს, მაგრამ ანატოლი კარპოვმა არ მიიღო მისი წინადადება. თეთრების 41-ე სვლის შემდეგ პარტია გადაიდო. გთავაზობთ ამ პარტიის მსვლელობას.

ა. კარპოვ — ა. სოკოლოვი

ახალინდური დაცვა

1. d4 ჱf6 2. c4 e6 3. ჱf3 b6 4. g3 ♗a6 5. b3 ♗b4+ 6. ♘d2 ჱe7 7. ჱc3 d5 8. cd ჱ:d5 9. ♗g2 0—0 10. ჱ:d5 ed 11. 0—0 ჱd7 12. ♖c1 ♕e8 13. ♕e1 c5 14. ♘e3 ♗b7 15. ♗h3 cd 16. ♘:d4 ჱf6 17. ♖c2 ♗b4 18. ♖f1 ♗a6 19. ♗b2 ♘f8 20. ჱd4 ჱe4 21. ♖c1 ♘c5 22. ♕d1 ♖f6 23. ♖f4 ♖:f4 24. gf ♘c8 25. ♗g2 ♘d7 26. e3 ♕ac8 27. ♕dc1 f6 28. ♘f1 ♘:d4 29. ♘:d4 ♕:c2 30. ♕:c2 ♕c8 31. ♕:c8+ ♘:c8 32. ♘e2 ♘f5 33. ♔f1 ♔f7 34. ♔e1 ♔e6 35. f3 ჱd6 36. ♔d2 ♔d7 37. a4 ♗h3 38. ♗a6 ♔c7 39. ♘c3 ♘c8 40. ♘d3 ♘f5 41. ♘:f5. პარტია გადაიდო.

სსრ კავშირის ჩემპიონატი ასუჯარედიან შაშში

პირველი მარცხი

დაუგაჭვილი (ლატვია), 27 თებერვალი (დეპეშით, „ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი). მეათე ტურამდე ვაყვაცურად უმკლავდებოდა მრავალნაცად მოშაშეებს შეჯიბრების ყველაზე უმცროსი წევრი, თბილისელი დებიუტანტი ჯუმბერ ბერიშვილი, მაგრამ X ტურში მან პირველი მარცხი იწვნია გათამაშების ერთ-ერთ ლიდერთან, ლენინგრადელ საერთაშორისო დიდოსტატ მიხაილ კორენევსკისთან, სხვათა შორის, ეს ტური ყველაზე შედეგიანი იყო მთელ ჩემპიონატში: ვირნიმ დაამარცხა შულმანი, მგელიანსკიმ — განტვარგი, ბეზუერშენკომ — ა. ერმაკოვი, ი. ერმაკოვმა — ბერჩისი. ყაიმით დამთავრდა ვალერიის — ბუჟინსკის, პრესმან— მიშჩანსკის, კერჩოვიჩ — ჩიჟოვისა და ბალიაკინ — ბრომბერგის პარტიები.

100-უჯრედიან შაშში სსრ კავშირის ვაჟთა უმაღლესი ლიგის ჩემპიონატს ახლა ორი ლიდერი ჰყავს — მიხაილ კორენევსკი და ალექსანდრ მოგილნსკი (რიგა) — 7-7 ჭულა. ვადიმ ვირნის (ხარკოვი), ტუნდის ვალერიოს და იური ერმაკოვს (ორივე — რიგა) 6,5-6,5 ჭულა აქვთ. ჯუმბერ ბერიშვილი (5 ჭულა). XII-XV ადგილებს იყოფს.

არტურ გოიხმანი.

რედაქტორი თ. გაჩეჩილაძე.



ფეხბურთის მოყვარულთა საყურადღებოდ!

თბილისის „დინამოს“ სპორტკომბინატი აცხადებს, რომ 1/წლის 2 მარტს, 10 საათიდან 19 საათამდე, ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონის სალაროებში გაიყიდება 1987 წლის სეზონის საფეხბურთო მატჩებზე დასახსწრებო ბილეთები, დასავლეთ და აღმოსავლეთ ტრიბუნების საუკეთესო ადგილებზე. ღირებულება 22 მანეთი და 50 კაპ.

დირექცია.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

ორი ერთმანეთის მსგავსი მატჩი

თბილისი. სპორტის სახახლე. 26 თებერვალი.

„დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი) 56:61 (27:34).

„დინამო“: ტიუბინი (17), კაპუტანი (16), დარსაძე (8), ოპოშნიანი (8), ბოროდაჩოვი (5), ტალაბაძე (2). გეგეშიძე.

„სპარტაკი“: გრიშაევი (30), კასურინი (11), უგრიუმოვი (10), პაშუტინი (7), ვაგაპოვი (2), ივანოვი (1), ფეოდოროვი, უსპენსკი.

მსაჯები: ბ. ცარიკოვი (გომელი), რ. ბრაზაუსკასი (ვილნიუსი).

მას შემდეგ, რაც 54-ე საკავშირო ჩემპიონატის ფინალისტთა ექვსეული გამოიკვეთა, თბილისის „დინამოსა“ და ლენინგრადის „სპარტაკის“ კალათბურთელებს ორჯერ მოუხდათ ერთმანეთთან შეხვედრა და ორივეჯერ თბილისში. შუალედი ამ მატჩებს შორის დაახლოებით 20 დღე იყო და იქნებ ამიტომაც ეს შეხვედრები როგორც ორი წვეთი წყალი ისე ჰგავდა ერთმანეთს. „დინამომ“ ორივე მატჩი 5 ქულით წააგო (პირველად — 79:84, გუშინწინ — 56:61). პირველ მატჩშიც და მეორეშიც დინამოელებმა ვერაფერი მოუხერხეს ლენინგრადელთა ცენტრალურ თავდამსხმელსა და მთავარ ბომბარდირს სერგეი გრიშაევს, რომელმაც პირველ შეხვედრაში თავის გუნდს 25, მეორეში კი 30 ქულა შესძინა. მაშინაც და ახლაც, თბილისელებმა პირწმინდად „წააგეს“ ორთავე ფარქვეშ ბრძოლა, რამაც საბოლოოდ გადაწყვიტა მატჩის ბედი. კიდევ ერთი ნიუანსი: ორთავე შეხვედრაში თბილისელები ხშირად ცდებოდნენ ყოველად უხიფათო, ე. წ. ნეიტრალურ სიტუაციებში. რაღა დარჩა? არაზუსტი სროლები, ფარქვეშ წაგებული ბრძოლა და შეცდომები გადაცემებში — სხვა რაა კალათბურთი? ერთი სიტყვით, თბილისის „დინამომ“, რომელიც ჩემპიონატის ბოლო მატჩებს აღმავლობით ატარებს (რითაც გუშინდელ მატკივრებს დიდი სიამოვნება მიანიჭა) ლენინგრადის „სპარტაკთან“ ორივეჯერ სუსტად ითამაშა.



არადა, ნეგატიური ნიშნით ე. წ. „უხერხული“ მეტოქენი არასდროს ყოფილან. მეტსაც გეტყვით: 54-ე ჩემპიონატის ერთი შეხვედრა თბილისის „დინამომ“ მეტოქეს სტუმრად თამაშისას მოუგო, ამიტომ თბილისში განცდილი მარცხი ერთგვარ გაუგებრობასაც კი იწვევს. „სპარტაკი“ დღეს ის გუნდი არ გახლავთ, რომელსაც შეუძლია თბილისის „დინამო“ შინ, საკუთარ მოედანზე ორჯერ დაამარცხოს.

ამ მარცხმა გული უფრო იმიტომ დაგვწყვიტა, რომ აღმავლობის გზაზე დამდგარ ჩვენს გუნდს ამ ჩემპიონატში ერთ-ერთ საპრიზო ადგილზე გასვლის შანსი გაუჩნდა. მაგრამ ამით ქვეყანა, ცხადია, არ დაქცეულა. გადამწყვეტი შეხვედრები წინაა და უნდა ვივარაუდოთ, რომ მსგავსი ჩავარდნა გუნდს აღარ ექნება.

იმ დღეს ლენინგრადელთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა: გახარებული კალათბურთელები კოცნიდნენ გრიშაევს და ამ მოულოდნელ, დაუგეგმავ წარმატებას ულოცავდნენ ერთმანეთს. დიახ, სწორედ მოულოდნელ და დაუგეგმავ წარმატებას...

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ „დინამო“ ადვილად დააღწევს თავს ამ მარცხით გამოწვეულ შოკს და ფინალური ტურნირის დარჩენილ მატჩებს კვლავაც ოსტატურად ჩაატარებს.

ნოდარ გუგუშვილი.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 28 თებერვლისთვის

	ო.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	30	25	5	2893-2414	55
„უალგირისი“ (კაუნასი)	31	22	9	2777-2572	53
„დინამო“ (თბილისი)	32	18	14	2468-2626	50
„სპარტაკი“ (ლენინგ.)	31	18	13	2537-2502	49
„შახტიორი“ (დონეცკი)	31	15	16	2485-2542	46
ვმფ (რიგა)	31	13	18	2702-2796	44

ახალი შემადგენლობა

ამ დღეებში გაიმართა კალათბურთის რესპუბლიკური ფედერაციის პლენუმი, რომელმაც პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა აირჩია. საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია პ. თორდია, ფედერაციის პრეზიდიუმის საპატიო თავმჯდომარედ კი ჰ. დანელია.

რესპუბლიკური ფედერაციის პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა ოცდახუთი წევრით განისაზღვრა.

ევროპის თასებზე

გაიმართა კალათბურთელთა ევროპის თასების მატჩები

კაუნასი. ჩემპიონთა თასის მორიგ შეხვედრაში ადგილობრივმა „უალგირისმა“ ერთ-ერთ ლიდერს იტალიის „ტრეისერს“ (მილანი) უმასპინძლა. ლიტველები ამჯერადაც თავიანთი ლიდერის საბონისის გარეშე თამაშობდნენ. გამარჯვება სტუმრებს ჰქადა — 100:85 (45:37).

ამ მატჩის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელები რობერტ მაკადუ („ტრეისერი“) და რომას კურტინაიტისი („უალგირისი“) იყვნენ. პირველმა თავის კოლექტივს 30 ქულა შესძინა, მეორემ — 23.

სოფია. ნოვოსიბირსკის „დინამოს“ ქალთა კოლექტივმა სასპასუხო მატჩი ადგილობრივ „ლევსკი სპარტაკთან“ წააგო (84:97), მაგრამ ჩემპიონთა თასის ფინალში მაინც გავიდა. 12 მარტს სალონიკში (საბერძნეთი) გადაწყვეტ მატჩში იგი თასის ახლანდელ მფლობელს იტალიის „პრიმიჯის“ შეხვდება.

ეროვნულ დღესასწაულს დაამთხვიეს

მსოფლიოს 1989 წლის ჩემპიონატი ცურვაში, წყალში ხტომაში, წყალბურთსა და სინქრონულ ცურვაში, როგორც ცნობილია, ბონში ჩატარდება. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ეს შეჯიბრება დიდ ეროვნულ დღესასწაულს — ბონის 2000 წლისთავს დაამთხვიეს.

აღნიშნულ ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებს 2 ათასამდე სპორტსმენი, დაახლოებით ამდენივე ჟურნალისტი, ტელე და რადიო კომენტატორი.

ცისფერ ეკრანზე

ცენტრალური ტელევიზია. 28 თებერვალი. დილის დაპურება — 8.00 (1), დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); რიტმული ტანვარჯიში — 9.30 (2); სტუდენტთა ზამთრის მსოფლიო თამაშები — 18.25 (2) და 20.30 (2).

საქართველოს ტელევიზია. 28 თებერვალი. სპორტული გადაცემა „მექსიკა—86“ — 20.55.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“

რედაქციის ტელეფონები:
სახდავნი — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„ბანანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ანგარიში: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. ობენდება ოფსეტური წესით სავაჭრო კორპუსში: ბოშარიულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უე 06794